

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონის“ აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში მოცემული საკითხის შესაძლო ეფექტს თუ არ ჩავთვლით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით შესაბამისი თანმიმდევრობით აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული დებულების სისრულესთან დაკავშირებით, რადგან ჩვენ არ წარმოგვიდგინეს საჭირო მხარდამჭერი დოკუმენტები ანალიზისთვის. ამ საკითხის შესაძლო ეფექტი შესაძლებელია იყოს ხარჯების და მიმდინარე ვალდებულებების ზრდა, ასევე კაპიტალის მნიშვნელოვანი კლება. შესაბამისად, ჩვენ ვერ განსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ცვლილებების განხორციელება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებულ წლის მოგებასთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლობები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღება გავამახვილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც მითითებულია, რომ კომპანიამ გასწია 6,165 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წმინდა ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში და, ამ თარიღის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 2,906 ათასი აშშ დოლარით აჭარბებს. როგორც მე-2 შენიშვნაშია განხილული, ეს მოვლენები, მე-2 შენიშვნაში მითითებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვანი გარემოებები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2021 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მიგმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგებ, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 1 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონის“ აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში მოცემული საკითხის შესაძლო ეფექტს თუ არ ჩავთვლით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით შესაბამისი თანმიმდევრობით აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული დებულების სისრულესთან დაკავშირებით, რადგან ჩვენ არ წარმოგვიდგინეს საჭირო მხარდამჭერი დოკუმენტები ანალიზისთვის. ამ საკითხის შესაძლო ეფექტი შესაძლებელია იყოს ხარჯების და მიმდინარე ვალდებულებების ზრდა, ასევე კაპიტალის მნიშვნელოვანი კლება. შესაბამისად, ჩვენ ვერ განსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ცვლილებების განხორციელება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებულ წლის მოგებასთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის

საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღება გავამახვილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც მითითებულია, რომ კომპანიამ გასწია 6,165 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წმინდა ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში და, ამ თარიღის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 2,906 ათასი აშშ დოლარით აჭარბებს. როგორც მე-2 შენიშვნაშია განხილული, ეს მოვლენები, მე-2 შენიშვნაში მითითებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვანი გარემოებები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2021 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი

აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 1 აგვისტო

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“


სრული შემოსავლის ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11	5,886	9,060
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება საერთო მოგება	12	(4,979)	(5,663)
		907	3,397
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,589)	(3,124)
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(2,426)	(2,386)
საოპერაციო ზარალი		(4,108)	(2,113)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	9	(2,192)	(2,175)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		31	(18)
სხვა შემოსულობა		108	247
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(4)	(194)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(6,165)	(4,253)
მოგებიდან გადასახადები		-	-
წლის ზარალი		(6,165)	(4,253)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(6,165)	(4,253)

ეს ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაცემად დამტკიცდა 2022 წლის 1 აგვისტოს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:


 მიხეილ ბეგიაშვილი
 აღმასრულებელი დირექტორის
 რეგულ ბიტონის მინდობილი
 პირი


 მიხეილ ბეგიაშვილი
 ფინანსური დირექტორი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11	5,886	9,060
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(4,979)	(5,663)
საერთო მოგება		907	3,397
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,589)	(3,124)
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(2,426)	(2,386)
საოპერაციო ზარალი		(4,108)	(2,113)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	9	(2,192)	(2,175)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		31	(18)
სხვა შემოსულობა		108	247
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(4)	(194)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(6,165)	(4,253)
მოგებიდან გადასახადები		–	–
წლის ზარალი		(6,165)	(4,253)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		–	–
წლის მთლიანი სრული ზარალი		(6,165)	(4,253)

ეს ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაცემად დამტკიცდა 2022 წლის 1 აგვისტოს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

მიხეილ ბეგიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორის
რეფაელ ბიტონის მინდობილი
პირი

მიხეილ ბეგიაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	37,019	39,981
არამატერიალური აქტივები	6	5,965	7,466
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,984	47,447
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	1,669	2,454
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		142	110
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	11	953	1,323
გადახდილი ავანსები		188	198
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში		399	200
სულ მიმდინარე აქტივები		3,351	4,285
სულ აქტივები		46,335	51,732
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1	60,000	60,000
დამატებით შეტანილი კაპიტალი		111	111
აკუმულირებული ზარალი		(42,138)	(36,070)
სულ კაპიტალი		17,973	24,041
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	22,105	20,262
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები		–	298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,105	20,560
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	3,590	4,800
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	10	2,667	2,331
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,257	7,131
სულ ვალდებულებები		28,362	27,691
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		46,335	51,732

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სულ კაპიტალზე
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	60,000	(31,709)	111	28,402
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(4,253)	–	(4,253)
გარიგება აქციონერთან	–	(108)	–	(108)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	60,000	(36,070)	111	24,041
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(6,165)	–	(6,165)
სხვა მოძრაობები	–	97	–	97
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	60,000	(42,138)	111	17,973

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(6,165)	(4,253)
არაფულადი კორექტივები დასაბეგრი ზარალის წმინდა			
ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა და ამორტიზაცია	5, 6	4,213	4,147
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	9	2,192	2,175
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		785	(528)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში		370	(18)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(32)	492
ცვლილება გადახდილ ავანსებში		10	(82)
ცვლილება სხვა აქტივებში		–	210
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებებში		336	(133)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,709	2,010
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(108)	(220)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(108)	(220)
ფინანსური საქმიანობა			
ძირითადი თანხის დაფარვა		(404)	(550)
პროცენტის დაფარვა		(1,155)	(1,004)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,559)	(1,554)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		42	236
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		157	(52)
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 1 იანვრის მდგომარეობით		200	16
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 31 დეკემბერს		399	200

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 404496121) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 19 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია მიხეილ გრიგორაშვილის ქ. 27, თბილისი, საქართველო.

კომპანია რეგისტრირებულია ნებადართული საწესდებო კაპიტალით 60 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც 60 მილიონი ჩვეულებრივი აქციისგან შედგება, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი. აქციები თანაბრად არის გადანაწილებული შემდეგ აქციონერებს შორის: შპს „Elbit Systems - Cyclone“, რეგისტრირებული ისრაელში, სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რეგისტრირებული საქართველოში და შპს „პროექტი“, რეგისტრირებული საქართველოში, რომელიც მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირდება.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სს „საპარტნიორო ფონდი“, საქართველოს მთავრობის მფლობელობასა და მართვის ქვეშე მყოფი ორგანიზაცია.

კომპანია დაფუძნდა კონკრეტული მიზნით, სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიისთვის კომპოზიტური აერო კონსტრუქციის პროდუქტების საწარმოებლად და გასაყიდად. კომპანიამ დააფუძნა საწარმოო ობიექტი (შემდგომში „ქარხანა“) და 2019 წლის მაისისთვის მიიღო ყველა საჭირო ნოუ-ჰაუ, გაიარა საჭირო სერტიფიცირება და მიიღო ნებართვები კომპოზიტური აერო სტრუქტურის პროდუქტების საწარმოებლად. ქარხანა აშენდა „მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების“ საფუძველზე, რომელიც გაფორმდა კომპანიებს სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ და შპს „Elbit Systems - Cyclone“ შორის. პროექტის მთლიანი ღირებულებაა 80 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 15 მილიონი გამოიყო მშენებლობის მეორე ეტაპისთვის - 2020-2022 წლები. კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის და საავიაციო ინდუსტრიაზე მისი გავლენის გამო, „მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების“ მეორე ეტაპი გადავადდა და სრულად ვერ განხორციელდა პროექტით დადგენილ ვადებში.

წარმოებული აერო სტრუქტურის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია 2019 წლის მაისში დაიწყო.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერებს აქვთ ფინანსური ანგარიშგების, ასევე მისი ცვლილებების დამტკიცების უფლება.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

2. კოვიდ-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელებას მნიშვნელოვანი მიმდინარე გავლენა ჰქონდა საქმიანობებზე მსოფლიოს მასშტაბით 2020 და 2021 წლებშიც. კოვიდ-19 მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საერთაშორისო მგზავრობასა და ტურისტულ სფეროზე და შედეგად მნიშვნელოვნად დააზიანა საავიაციო და მასთან დაკავშირებული ბიზნეს-სექტორები.

კოვიდ-19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეამცირა საჰაერო ტრანსპორტის რაოდენობა, მრავალი ქვეყნის მიერ გატარებული შემაკავებელი ღონისძიებების შედეგად. საჰაერო ტრანსპორტირების კლებას პირდაპირი უარყოფითი გავლენა ჰქონდა კომპანიის შემოსავლის ნაკადზე.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი დიდად არის დამოკიდებული მისი აქციონერის - შპს „Elbit Systems - Cyclone“ რამდენიმე ბრძანებაზე, რომლის უფლებამოსილებაზეც, თავის მხრივ, მოქმედებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიაში წარმოების მასშტაბები. ინდუსტრიაზე უარყოფითი გავლენის გამო, ხელმძღვანელობა მომავალი სავაჭრო გეგმების გადახედვის და გადაკალიბრების მუდმივ პროცესშია, თუმცა, განუსაზღვრელობების მაღალი ხარისხის გამო, დღეისათვის შეუძლებელია გრძელვადიანი გეგმების დასახვა ნდობის საკმარისი ხარისხით.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გასწია წმინდა ზარალი 6,165 აშშ დოლარის (2020 წ.: 4,253) ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მის მიმდინარე აქტივებს 2,906 აშშ დოლარით გადააჭარბა (2020 წ.: 2,846 აშშ დოლარი). 2021 წლის განმავლობაში მოთხოვნის მნიშვნელოვანი კლება კოვიდ-19-ის პანდემიით და ფედერალური საავიაციო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით იყო გამოწვეული, რომლის მიხედვითაც 2021 წლის ოქტომბრის შემდეგ შეჩერდა ბოინგის „787 Dreamliner“ წარმოება. რადგან სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ მიერ წარმოებული ნაწილების დაახლოებით 90% ბოინგისთვის „787 Dreamliner“ არის განკუთვნილი, 2021 წელს კონკრეტული ნაწილების წარმოება და რეალიზაცია დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო. კომპანიამ ვერ შეასრულა საგადახდო ვალდებულება ქართული კომერციული ბანკის მიმართ 2021 წელს და მოახდინა სესხის რესტრუქტურისაცა ძირითადი თანხის გადახდის გრაფიკის ერთი წლით ცვლილების, თა თავდაპირველი დაფარვის თარიღის შენარჩუნების გზით. ამასთან, აქციონერული ხელშეკრულების და მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია იძულებული იყო განეხორციელებინა ინვესტიცია ქარხანაში, მშენებლობის მეორე ეტაპზე 2020-2021 წლებში და ამ პროცესში დამატებით 15 მილიონი აშშ დოლარი ჩაედო. დღეისათვის კომპანიას არ გააჩნია დაფინანსება ამ გაფართოებისთვის, რადგან გეგმა შეჩერებულია კოვიდ-19-ის პანდემიის გამო. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება დაშვებას, რომ კომპანია განაგრძობს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული განცხადებები მეტწილად ეყრდნობა აქციონერებისგან უწყვეტი მხარდაჭერის არსებულ მოლოდინებს. ვითარების გამოსასწორებლად შემდეგი ღონისძიებები გატარდა:

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

2. კოვიდ-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

- ▶ კომპანიის ხელმძღვანელობამ, აქციონერთან შპს „Elbit Systems - Cyclone“ მუდმივად მუშაობს კომპანიის საოპერაციო გეგმაზე მოკლე და გრძელვადიანი პერიოდებისთვის. ზემოთ აღწერილი არსებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, ამ გეგმის მიზანია კომპანიის ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა მოკლევადიან პერსპექტივაში. საბოლოო გეგმა უკვე განხილულია აქციონერთა საბჭოს სხდომაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მისი აქციონერები ფლობენ სათანადო რესურსებს და აქვთ განზრახვა მხარი დაუჭირონ კომპანიას არსებულ კრიზისში.
- ▶ 2021 წლის განმავლობაში გაყიდვებსა და მოთხოვნაში მნიშვნელოვანი კლების გამო, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაიწყო ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი და გაათავისუფლა თანამშრომლების 20%, რითაც შემდგომში ხარჯი 427 აშშ დოლარით შემცირდა.
- ▶ 2021 წლის განმავლობაში, კომპანიამ ვერ განახორციელა სესხის მომდევნო გადასახდელის ნაწილის დაფარვა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქართულ კომერციულ ბანკთან 2020 და 2021 წლებში სესხის გრაფიკის რესტრუქტურირების და 2020 და 2021 წლებში დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ვალდებულებების 2022 წლამდე გადავადების თაობაზე. 2022 წლის 31 მარტს კომპანიამ გააფორმა სესხის ხელშეკრულების ცვლილება ქართულ კომერციულ ბანკთან და შედეგად 3,181 აშშ დოლარის ოდენობით გადახდა 2023 წლის იანვრამდე გადავადდა. შემდგომი პერიოდის განმავლობაში კომპანია არ აკმაყოფილებდა ბანკთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა კვლავ აწარმოებს მოლაპარაკებებს ბანკთან ყველა ფინანსური ვალდებულების 2022 ფინანსურ წლის ბოლომდე გადავადებაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულებებთან შეუსაბამობა არ წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევას. ასეთ შემთხვევაში ბანკს აქვს უფლება გაზარდოს საპროცენტო ხარჯი კონკრეტული ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლით. თუმცა, ოფიციალური შეთანხმება ბანკთან ჯერ არ არის მიღწეული, ხელმძღვანელობის აზრით, ის წარმატებას მიაღწევს ამ მცდელობებში, რადგან ამგვარი რესტრუქტურირაცია ყველა მონაწილე მხარისთვის იქნება სარგებლის მომტანი. წინამდებარე ფინანსური ხელშეკრულების თარიღის მდგომარეობით, ბანკს არ უსარგებლია ვალდებულების დარღვევის შედეგად საპროცენტო ხარჯის გაზრდის უფლებით.
- ▶ 2020 და 2021 წლების განმავლობაში შპს „Elbit Systems - Cyclone“-მა დააფინანსა მთლიანობაში 1,560 აშშ დოლარის ღირებულების მქონე მოწყობილობების ნასყიდობა, რაც „მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების“ მეორე ეტაპს უკავშირდებოდა. კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის მისი აქციონერის მხრიდან მხარდაჭერის გაგრძელებას, მშენებლობის გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. თუ კომპანიას არ ექნება სათანადო რაოდენობით სახსრები მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების მეორე ეტაპის დასასრულებლად, ეს არ გამოიწვევს რაიმე სახის ჯარიმას ან დამატებითი ვალდებულებების წარმოშობას, რაც შესაბამის დოკუმენტში იქნება განსაზღვრული.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

2. კოვიდ-19-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნართან დაკავშირებით და, შესაბამისად, მან შესაძლოა ვერ შეძლოს მისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა საქმიანობის ნორმალურ პირობებში. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

(ბ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი) და ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე (000), თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება აშშ დოლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის აშშ დოლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, პროცენტიანი სესხების, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების, ასევე კრედიტორული ვალდებულებების კატეგორიას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო - და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(iii) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთა ირიცხება ძირითადი საშუალების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	40 წლამდე;
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-20 წლამდე;
კომპიუტერები და პროგრამული უზრუნველყოფები	2-5 წლამდე;
სხვა მატერიალური აქტივები	2-5 წლამდე.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ცვეთის ხარჯი

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარჩენი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და შესაბამისი ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება და მათი მაქსიმალური ვადა 10 წელია.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი, სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში, მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისი ცვლილებით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მისი აღიარება ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას მოგებაში ან ზარალში.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო კრედიტორული დავალიანება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2021 წელს კომპანიას არ გადაუხდია დივიდენდები და არ ჰქონია ისეთი ოპერაციები, რომლებიც ჩაითვლება მოგების განაწილებად ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, ამრიგად, მოგების გადასახადის ხარჯი 2021 წლისთვის ნულს უდრის.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ როდესაც დებიტორული დავალიანებები და კრედიტორული ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

(ი) ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში, რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ▶ ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- ▶ მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ სესხით სარგებლობის დანახარჯების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

(ლ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებებს, ე.ი. მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა კლიენტს, ჩვეულებრივ საქონლის მიწოდების მომენტში.

შემოსავალი აღიარდება საქონლის გაყიდვასთან კავშირში, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი იცვლება ნებისმიერი მოცულობითი ფასდაკლებისთვის.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

მზა პროდუქციის რეალიზაციის კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს დასაბრუნებელი საქონლის შესაფასებლად, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს კომპანიის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას.

შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს მის შესასრულებელ მოვალეობას, ე.ი. დროთა განმავლობაში, როდესაც მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

შემოსავალი მომსახურებიდან მეტწილად მოიცავს საინჟინრო მომსახურებებს, რომლებიც ხორციელდება კონკრეტული პროდუქტის წარმოებამდე და მომხმარებლების მიერ მის ანაზღაურებამდე. საინჟინრო მომსახურებები გულისხმობს ნებისმიერ მომსახურებას ან სამუშაოს, რომლის ადეკვატური შესრულება საჭიროებს საინჟინრო განათლებას, სწავლებას და გამოცდილებას სპეციალური ცოდნის გამოყენებაში.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები შემოსავლად აღიარდება, როდესაც კომპანია შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. კლიენტს გადასცემს კონტროლს შესაბამისი საქონელზე ან მომსახურებებზე).

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ო) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში

(i) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების გაუმჯობესების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, ბასს-მა გამოსცა ბასს (IAS) 41 სტანდარტის („სოფლის მეურნეობა“) ცვლილება. ეს ცვლილება აუქმებს ბასს (IAS) 41-ის 22-ე პუნქტს, რომელიც გადასახადებიდან ფულადი ნაკადების გამორიცხვის უფლებას იძლევა აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ბასს (IAS) 41-ის ფარგლებში.

საწარმო იყენებს ამ ცვლილებას პერსპექტიულად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. სტანდარტის ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას მასზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“;

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

2020 წლის იანვარში ბასს-მა გამოცა ბასს (IAS) 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება - მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის
- ▶ ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად. დღეისათვის ბანკი აფასებს ცვლილებების გავლენას მიმდინარე საქმიანობაზე და დასჭირდება თუ არა არსებულ სასესხო ხელშეკრულებებს ხელახალი შეთანხმება.

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“;
- ▶ ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“;
- ▶ ფასს (IFRS) 1-ის ცვლილება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს;
- ▶ ფასს (IFRS) 9-ის ცვლილება - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება

არსებობს გაურკვევლობები რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. კომპანია გონივრული შეფასებების საფუძველზე ქმნის გარკვეულ ანარიცხებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შესაძლო შედეგებისთვის. ანარიცხების დონეს განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ წინა საგადასახადო შემოწმებებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბეგრი კომპანიისა და შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციის ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების მეორე ეტაპის შეფერხების და კომპანიის საქმიანობაზე კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად, ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიასთან დაკავშირებით გაუფასურების ინდიკატორები არსებობდა და დაიანგარიშა გრძელვადიანი აქტივების გამოყენების ღირებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება მის გამოყენების ღირებულებას დაეფუძნა, რომელიც განისაზღვრება ძირითადი საშუალებების უწყვეტად სარგებლობით წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით. ფულადი ნაკადები მიიღება ხელმძღვანელობის პროგნოზიდან მომდევნო შვიდი წლისთვის და არ მოიცავს რესტრუქტურისაციას, რომელთა ვალდებულებაც კომპანიას ჯერ არ აუღია ან მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს აქტივის ეფექტურობას.

გამოყენების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 12,8%-იანი დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულების გამოთვლა უფრო მგრძნობიარეა შემდეგი დაშვებების მიმართ:

- ▶ დისკონტირების განაკვეთი;
- ▶ ერთეულის ღირებულების პროგნოზი;
- ▶ აქციონერთან შპს „Elbit Systems - Cyclone“ შეთანხმებული შემოსავლის ბიუჯეტი.

კომპანიის მიერ ჩატარებული გაუფასურების ანალიზის შედეგად, ძირითადი საშუალებების გამოყენების ღირებულება არ შეიცავს საბალანსო ღირებულებას, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსაზრებები

ხარჯების კაპიტალიზაცია მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე

მშენებლობის გენერალური ხელშეკრულება 2015 წლის 21 ივნისს გაფორმდა და ამ თარიღის შემდეგ, ბასს (IAS) 16-ში („ძირითადი საშუალებები“) განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით, კომპანიამ დაიწყო ქარხნის მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია. მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული მატერიალური აქტივების და დაკავშირებული სამშენებლო მომსახურებების კაპიტალიზაციასთან ერთად, კომპანიამ ასევე მოახდინა საკუთარი პერსონალის ხარჯების კაპიტალიზაცია 2019 წლის მაისამდე. 2019 წლის მაისში კომპანიამ დაასრულა ქარხნის მშენებლობა და დაიწყო ზრუნვა საჭირო ნებართვების და სერტიფიკატების მიღებაზე. 2021 წლის განმავლობაში მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების მე-2 ეტაპი გადავადდა და შედეგად მნიშვნელოვან კაპიტალიზაციას ადგილი არ ჰქონია (მე-2 შენიშვნა).

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და სამშენებლო ობიექტები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	კომპიუტერები ი და პროგრამული უზრუნველ- ყოფები	დაუმთავ- რებელი აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბერს	15,243	20,284	5,157	2,887	1,326	44,897
შესყიდვები	–	313	37	–	168	518
გადატანები	–	(538)	538	–	–	–
ჩამოწერები	–	–	–	(164)	–	(164)
2020 წლის 31 დეკემბერს	15,243	20,059	5,732	2,723	1,494	45,251
შესყიდვები	63	18	2	–	25	108
გადატანები	–	5	(5)	–	–	–
ჩამოწერები	(84)	(273)	–	–	(1)	(358)
2021 წლის 31 დეკემბერს	15,222	19,809	5,729	2,723	1,518	45,001
დაგროვილი ცვეთა						
ცვეთა წლის განმავლობაში	(379)	(986)	(1,148)	–	(133)	(2,646)
2020 წლის 31 დეკემბერს	(776)	(1,940)	(2,288)	–	(266)	(5,270)
ცვეთა წლის განმავლობაში	(474)	(1,018)	(1,146)	–	(74)	(2,712)
2021 წლის 31 დეკემბერს	(1,250)	(2,958)	(3,434)	–	(340)	(7,982)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	14,467	18,119	3,444	2,723	1,228	39,981
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	13,972	16,851	2,295	2,723	1,178	37,019

6. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია ნოუ-ჰაუსი (ა)	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
2019 წლის 31 დეკემბერს	8,965	2	8,967
შესყიდვები	–	–	–
ამორტიზაცია	(1,500)	(1)	(1,501)
2020 წლის 31 დეკემბერს	7,465	1	7,466
ამორტიზაცია	(1,500)	(1)	(1,501)
2021 წლის 31 დეკემბერს	5,965	–	5,965

2015 წლის 23 ივლისს კომპანიამ შპს „Elbit Systems - Cyclone“-ს გადაუხადა 15 მილიონი აშშ დოლარი ერთჯერადი სალიცენზიო/ნოუ-ჰაუს საფასურის სახით, მშენებლობის გენერალური ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად. ლიცენზია უკავშირდება ნოუ-ჰაუს გაზიარებას შპს „Elbit Systems - Cyclone“ მიერ მშენებლობის და წარმოების ეტაპებზე და მასზე ცვეთა ირიცხება 10 წელიწადში, მიღებული სარგებლის ასახვის გამო.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2021	2020
საზარჯო მასალები	1,028	1,458
სხვა ინსტრუმენტები	322	225
მზა პროდუქცია	217	65
ნედლეული	72	495
დაუმთავრებელი წარმოება	30	211
	1,669	2,454

2021 და 2020 წლების განმავლობაში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით მათ შეფასებასთან დაკავშირებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა არაარსებითი იყო.

2,608 აშშ დოლარის (2020 წ.: 3,062 აშშ დოლარი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-12 შენიშვნა) აღიარებული იყო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებად.

8. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას მისი ძირითადი საშუალებები დაგირავებული აქვს ადგილობრივი კომერციული ბანკისგან აღებული სესხის უზრუნველყოფის სახით. დაგირავებული ქონების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 42,984 აშშ დოლარს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბერი: 17,609 აშშ დოლარი).

9. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები

31 დეკემბრის მდგომარეობით, პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები მოიცავდა შემდეგს:

	2021	2020
ქართული კომერციული ბანკი	12,046	12,427
შპს „Elbit Systems – Cyclone“	8,446	7,883
სს „საპარტნიორო ფონდი“	5,203	4,752
	25,695	25,062

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2021	2020
1 იანვარი	25,062	24,441
ძირითადი თანხის დაფარვა	(404)	(550)
პროცენტის დაფარვა	(1,155)	(1,004)
სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	2,192	2,175
31 დეკემბერი	25,695	25,062

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

10. სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები

	2021	2020
შპს „Elbit Systems – Cyclone“	2,301	2,132
სხვა სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	366	199
	2,667	2,331

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიამ ნედლეულის და ინსტრუმენტების უმრავლესობა შპს „Elbit Systems - Cyclone“-სგან შეიძინა.

11. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიისთვის კომპოზიტური აერო სტრუქტურული ნაწილების წარმოების სფეროში ფუნქციონირებს. კომპანიამ წარმოება და შემოსავლის გამომუშავება 2019 წლიდან დაიწყო.

შემოსავალი პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით ასეთი იყო:

	2021	2020
შემოსავალი პროდუქტების გაყიდვიდან	4,926	8,649
შემოსავალი მომსახურებიდან	960	411
	5,886	9,060

2021 და 2020 წლებში შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კომპანიის აქციონერზე გაყიდვებიდან მომდინარეობს. შპს „Elbit Systems – Cyclone“ (მე-15 შენიშვნა).

სახელშეკრულებო ნაშთები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	953	1,323

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებები მეტწილად „Elbit Systems“-სგან აქვს. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხებათ და ისინი ვადაგადაცილებული არ არის ბალანსის შედგენის თარიღისთვის (მე-15 შენიშვნა).

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს და სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულება ხარჯების ტიპების მიხედვით:

	2021	2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება (მე-7 შენიშვნა)	2,608	3,062
თანამშრომელთა სარგებელი	1,130	1,242
კომუნალური ხარჯები	623	507
ცვეთა და ამორტიზაცია (ა)	582	582
სხვა	36	270
	4,979	5,663

(ა) 2021 და 2020 წლებში, ქარხანა სრული დატვირთვით არ ამუშავდა. შესაბამისად, ზედნადები ხარჯი და ცვეთა სრულად არ გადანაწილდა წარმოების დანახარჯებზე დაბალი წარმოების ან მოცდენილი სიმძლავრის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯი და ცვეთა და ამორტიზაცია 2,383 აშშ დოლარის (2020 წ.: 2,337 აშშ დოლარი) ოდენობით მიეკუთვნა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიას კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	1,294	1,228
თანამშრომელთა სარგებელი	653	898
ქონების გადასახადი	370	396
სხვა ხარჯები	272	602
	2,589	3,124

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	შესყიდვები	შემოსავალი	მიღებული მომსახურება	ვალდებუ- ლებები	მოთხოვნები	ნასესხები სახსრები
2021						
სს „საპარტნიორო ფონდი“ (ა)	6	–	–	56	–	5,203
შპს „Elbit Systems – Cyclone“ (ბ)	3,350	5,344	–	2,301	948	8,446
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (გ)	74	–	22	5	–	–
2020						
სს „საპარტნიორო ფონდი“ (ა)	40	–	–	17	–	4,752
შპს „Elbit Systems – Cyclone“ (ბ)	5,307	8,917	–	2,430	1,278	7,883
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (გ)	25	–	71	–	–	–

(ა) 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ მისი მშობელი კომპანიისგან - სს „საპარტნიორო ფონდი“ თანხები ისესხა, ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების დაფინანსების მიზნით. სესხების დაფარვის წელია 2023.

(ბ) ნასესხები სახსრების ნაშთი შპს „Elbit Systems - Cyclone“ ცალსახად უკავშირდება მშენებლობის გენერალურ ხელშეკრულებას და ის 2023 წელს იფარება.

სხვა ნაშთები შპს „Elbit Systems -Cyclone“-თან კომერციული მიზნებისთვის განხორციელებულ გარიგებებს უკავშირდება.

(გ) საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა კომპანიამ - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კომპანიას მომსახურება გაუწია, რომელიც უკავშირდებოდა ქარხნის ქსელთან მიერთებას და კაბელების მონტაჟს.

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2021 და 2020 წლებში ექვსი პირისგან შედგებოდა. მათი მთლიანი ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს და 2021 წელს გაუტოლდა 645 აშშ დოლარს (2020 წ.: 754 აშშ დოლარი)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებებისა და პროცენტური სესხებისა და ნასესხები სახსრებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია კომპანიის ქარხნის მშენებლობასთან და საჭირო სერტიფიკატებისა და ნებართვების მიღებისთვის დაკავშირებული დანახარჯების დაფინანსება.

კომპანიას გასწევს საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. კომპანია არ გასწევს სავალუტო რისკს, რადგან მისი გარიგებების და ნაშთების უმრავლესობა აშშ დოლარშია გამოსახული.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს მეტწილად ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშები და აქციონერის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების გამო.

კომპანიის ნაღდი ფული ბანკში ინახება ბანკებში, რომელთა გარე რეიტინგია BB-. ყველა ანგარიში მიმდინარე და კომპანიას მიაჩნია, რომ დაღუპვის რისკი მინიმალურია.

სავაჭრო მოთხოვნების ძირითადი ნაწილი კომპანიას მისი უმცირესი აქციონერის შპს „Elbit Systems -Cyclone“ მიმართ აქვს. ყველა ანგარიში გრძელვადიანია და კომპანიას აქვს სავაჭრო ვალდებულებები შპს „Elbit Systems Cyclone“-ის მიმართ, რომელსაც აქვს წვდომა დებიტორული დავალიანებების თანხაზე, 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეაფასა, რომ დებიტორული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ სრულად ამოღებადია, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული იყო.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. ლიკვიდურობასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

ფინანსური

ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წელზე 3 თვიდან	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	სულ
პროცენტიანი სესხები სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	2,480	1,120	22,895	4,577	31,072
	–	2,667	–	–	2,667
სულ	2,480	3,787	22,895	4,577	33,739

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური

ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წელზე 3 თვიდან	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	სულ
პროცენტიანი სესხები სავაჭრო	315	1,722	26,102	3,508	31,647
კრედიტორული ვალდებულებები	–	2,331	–	–	2,331
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	–	–	298	–	298
სულ	315	4,053	26,400	3,508	34,276

(გ) სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ფასდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით, შემდეგი სახით: (i) პირველი დონე ფასდება აქტიურ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირი (მაგ. ფასებიდან წარმოშობილი) განსაზღვრა, (iii) მესამე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების მეთოდს, რომელიც არ ეფუძნება ემპირიული ბაზრის მონაცემებს (მაგ. არაემპირიული მონაცემები). ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებად დაყოფისთვის, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება ემპირიული მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას საჭიროებენ, ამგვარი შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. საშემფასებლო მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან მიმართებაში.

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(რიცხვები ათას აშშ დოლარშია მოცემული)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულებები არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის აუდიარებელი შემოსულობა / (ზარალი)	საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის აუდიარებელი შემოსულობა / (ზარალი)
აქტივები						
ნაღდი ფულის ნაშთი						
ბანკში	399	399	–	200	200	–
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	953	953	–	1,323	1,323	–
ვალდებულებები						
გრძელვადიანი						
კრედიტორული ვალდებულებები						
გრძელვადიანი აქტივებისთვის	–	–	–	298	298	–
პროცენტული სესხები	25,695	26,131	436	25,062	24,781	(281)

გრძელვადიანი კრედიტორული ვალდებულებების და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე ვალის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 მარტს კომპანიამ გააფორმა სესხის ხელშეკრულების ცვლილება ქართულ კომერციულ ბანკთან და შედეგად 3,181 აშშ დოლარის ოდენობით გადახდა 2023 წლის იანვრამდე გადავადდა (მე-2 შენიშვნა).

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად გავლენის სიმძლავრესთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“
2021 წლის
მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები.....	3
2. კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა:.....	4
2.1 ბიზნეს ქცევის და ეთიკის კოდექსი	5
2.2 ინფორმაციის მიწოდების და გამოძიების პროცედურები	5
2.3 ქრთამის და კორუფციის პოლიტიკა.....	5
2.4 მომწოდებლის ქცევის კოდექსი	6
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:	6
4. საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:.....	7
5. გარემოს დაცვის საკითები	8
6. განვითარების გეგმები	8
7. წარმოებული კვლევები.....	10
8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	10
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:	11
9.1 რთული გლობალური ეკონომიკური პირობები	11
9.2 პანდემიები, როგორებიცაა COVID-19, HRN1 და ასე შემდეგ.	11
9.3 ადგილობრივი სავალუტო ბაზრის არასტაბილურობა	12
10. კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	12
10.1 თანასწორობა.....	12
10.2 კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა.....	12
10.3 კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშვალდებულება, კონტროლი და გაწონასწორება.....	13
10.4 გამჭვირვალობა	13
10.5 კონტროლი	13
10.6 კომპანიის კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა	13

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონის“ აქციონერებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 აგვისტოს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით კვალიფიციური აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

18 აგვისტო, 2022 წელი


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონის“ აქციონერებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 აგვისტოს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით კვალიფიციური აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

18 აგვისტო, 2022 წელი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს.



მიხეილ ბეგიაშვილი
ფინანსური დირექტორი

18 აგვისტო 2022 წელი



მმართველობითი ანგარიშების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს.

მიხეილ ბეგიაშვილი

ფინანსური დირექტორი

18 აგვისტო 2022 წელი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, სააქციო საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2015 წლის 19 ივნისს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404496121, იურიდიული/ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკის დასახლება, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა #27.

კომპანიის აქციონერები არიან:

- საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი სს „საპარტნიორო ფონდი“ (ს/კ:404404550) – 33.333333%
- შპს „პროექტი“ (ს/კ: 404489914) რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია და 100%-იანი წილის მესაკუთრეა სს „საპარტნიორო ფონდი“ (ს/კ:404404550) - 33.333333%.
- Elbit Systems - cyclone LTD (Israel) (R/N:520033374) - 33.333333%, არის Elbit Systems - LTD (Israeli Inc Company R/N:5200432027) -ის შვილობილი კომპანია. ისრაელში ის სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: სამხედრო/თავდაცვის აეროხომალდების ნაწილები, მსხვილი სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილები და უსაფრთხოების სისტემები. ELBIT Systems დაარსდა 1967 წელს ისრაელში, მისი აქციები კვოტირებულია „NASDAQ-ზე“ („ESLT“) და თელ-ავივის საფონდო ბირჟებზე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგეს სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის კომპოზიტური მასალების წარმოება. ქარხანამ ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის მაისში. კომპანია საბოლოო პროდუქტის ნედლეულად იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ კომპოზიციური მასალების მწარმოებელ ევროპული და ამერიკული კომპანიების ნედლეულს. რაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქარხანა სრულად აღჭურვილია მსოფლიოში მოწინავე დანადგარებით და წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიით, უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის საერთაშორისოდ აღიარებულ მაღალ ხარისხს.

კომპანიას გავლილი აქვს შემდეგი კვალიფიცირების საკმაოდ რთული პროცესი და დღეს ფლობს შემდეგ სერტიფიკატებს:

- NADCAP – Composites
- NADCAP – NDI
- ISO – 9001:2015/AS9100D
- ISO – 14001:2015 / OHSAS 18001:2007
- BOEING FAI – Stanciones, Splices, Chair, Boats, Flat, J Beams

კომპანიამ საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან ერთად, Boeing-ის სერტიფიცირება გაიარა 2019 წელს და ამის შემდეგ დაიწყო სხვადასხვა კომპოზიტური ნაწილების წარმოება სწორედ ამ კომპანიისთვის. ორგანიზაცია ამჟამად აწარმოებს თვითმფრინავ Boeing 787 Dreamliner-ის და 737 Max-ისთვის სხვადასხვა სახის ნაწილებს. აღსანიშნავია რომ 787 Dreamliner-ისთვის მზადდება კომპოზიტური ნაწილები, რომლის

კონსტრუქციის 50%-ზე მეტიც (ფიუზელაჟი, ფრთები) სწორედ კომპოზიტური მასალებით არის წარმოებული. კომპოზიტური (ნახშირბადისა და პოლიმერული მასალების) ნაწილები სამოქალაქო ავიაციაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება. მათი სიმტკიცისა და გამძლეობის გამო თვითმფრინავების მწარმოებლები ფიუზელაჟის ელემენტების ტრადიციულ (ალუმინის) კომპონენტებს სულ უფრო მეტად კომპოზიტური მასალებით წარმოებული ელემენტებით ანაცვლებენ. ამ მეთოდით მიიღწევა თვითმფრინავის სიმსუბუქე, შესაბამისად მას შეუძლია განახორციელოს შორი დისტანციის ფრენები საწვავის ხარჯის დაახლოებით 30%-იანი ეკონომიით. Boeing-სთვის პროდუქტის მიწოდება ხდება შპს „ელბიტ სისტემს - ციკლონ-ის მეშვეობით.

2021 წლის ბოლოს კომპანიამ დაასრულა Boeing 787 MAX-ის ის მეტალის ტექნიკური კარის წარმოების კვალიფიცირების პროცესი და დაიწყო მათი რეალიზაცია.

2021 წლის განმავლობაში სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ში დასაქმებული იყო საშუალოდ 134 თანამშრომელი (2020 წელს 162).

კომპანიის თავდაპირველი გრძელვადიანი განვითარების გეგმა ითვალისწინებდა საწარმოო სიმძლავრეების სრულად ამუშავებას 2021 წელს და პერსონალის ზრდას 300 ადამიანამდე. თუმცა გლობალურმა პანდემიამ (COVID 19) მნიშვნელოვანი კორექტირებები შეიტანა ამ გეგმაში, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო სამოქალაქო ავიაციაში დევების ბაზრის მნიშვნელოვანი შემცირებით. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების 95%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო დაახლოებით 50-მა მათგანმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წარმატებით გაიარა გრძელვადიანი ტრენინგები ისრაელში სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ მექანიკური ინჟინრები, მექანიკოსები, ოპერატორები, ხარისხის მართვა და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად გლობალური პანდემიით გამოწვეული ნეგატიური მოვლენებისა, კომპანია მაინც აგრძელებს განვითარების ძირითადი (თავდაპირველი) ხაზის შენარჩუნებას, თუმცა გარკვეული კორექტირებით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წარმოების განვითარების ინტენსივობა დროში გადაიძვრება (ანუ ისეთი სწრაფი არ იქნება როგორც დაგეგმილი იყო), თუმცა კომპანია უარს არ ამბობს თავდაპირველი განვითარების გეგმაზე.

2. კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა:

ჩვენი საქმიანობის ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. ჩვენი პოლიტიკაა დავიცვათ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ჩვენი გლობალური საქმიანობის ფართო სპექტრისთვის. ამისათვის შევიმუშავეთ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა (Compliance Policy) და ასევე ჩვენს კომპანიაში დასაქმებული გვყავს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ოფიცერი (Compliance Officer), რომელიც მეთვალყურეობს ქვემოთ მითითებულ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-ის მიერ დამტკიცებულ შემდეგ პრინციპებს/პროცედურებს:

2.1 ბიზნეს ქცევის და ეთიკის კოდექსი

ჩვენი საქმიანობის წარმართვა ეთიკურად და საუკეთესო პრაქტიკებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია ჩვენი წარმატებისთვის. კომპანიის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ პრაქტიკებსა და სამართლებრივ მოთხოვნებთან.

2.2 ინფორმაციის მიწოდების და გამოძიების პროცედურები

როგორც ჩვენი ბიზნეს ეთიკის პოლიტიკის ნაწილი, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენი პოლიტიკის სავარაუდო დარღვევების, არასათანადო ქცევის და სამართლებრივი შეუსრულებლობის შესახებ მოხსენებას. ჩვენ მსგავს მოხსენებებს სერიოზულად ვუდგებით, ვიძიებთ მათ დაუყოვნებლივ და დისკრეციულად, და ჩვენ არ ვართ ტოლერანტულები შურისძიებისადმი იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც კეთილსინდისიერად გააკეთეს მოხსენება.

2.3 ქრთამის და კორუფციის პოლიტიკა

ჩვენი საქმიანობის საერთაშორისო ხასიათი და საბოლოო მომხმარებლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოითხოვს, რომ დავიცვათ ქრთამის და კორუფციის პოლიტიკასთან შესაბამისობის სტანდარტები. ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ, ხოლო ჩვენი თანამშრომლები, ოფიცრები და დირექტორები ვალდებული არიან განახორციელონ ჩვენი საქმიანობა ქრთამის და კორუფციის პოლიტიკასთან შესაბამისობის პრაქტიკის შესაბამისად.

ქრთამისა და კორუფციის შესაბამისობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია სათანადოდ შესწავლა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ იმ მესამე პირების მიმართ, რომლებთანაც ჩვენ არ ვმუშაობთ.

ჩვენი ქრთამისა და კორუფციის შესაბამისობის პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ისევე როგორც შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პოლიტიკისა, არის გზა, რომლითაც ჩვენ ვაწვდით და ვიღებთ ბიზნეს გართობას, სტუმართმოყვარეობას და საჩუქრებს.

2.4 მომწოდებლის ქცევის კოდექსი

ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომწოდებელთა ქსელი ჩვენთან საქმიანობის ყველა ასპექტში აკმაყოფილებს ჩვენს ეთიკურ სტანდარტებს.

ჩვენი მოლოდინი დაფუძნებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- კომპანიას გააჩნია შესაბამისი პოლიტიკა, რომლითაც ხორციელდება მომწოდებლების შერჩევის პროცესი. შესაბამისად ჩვენ არ ვთანამშრომლობთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ამ პოლიტიკით განსაზღვრულ ნორმებს.
- წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი მასალების მომწოდებლები წარმოადგენენ მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობ კომპანიებს, რომელთაც ამ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი ისტორია გააჩნიათ. ეს მომწოდებლები კარგადაა ნაცნობი ჩვენი დამფუძნებელი Elbit Systems - cyclone LTD-ისთვისაც.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ქვემოთა ცხრილში მოცემულია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ბოლო 3 წლის განმავლობაში:

(რიცხვები მოცემულია ლარში)

წელი	2021	2020	2019
ამონაგები	18,895,611	28,201,205	12,174,084
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15,928,680)	(17,610,472)	(8,677,444)
მთლიანი მოგება	2,966,931	10,590,733	3,496,640
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(15,768,965)	(17,058,405)	(17,488,444)
საოპერაციო მოგება	(12,802,034)	(6,467,672)	(13,991,804)
ფინანსური ხარჯები და გადაფასებები	(7,037,101)	(6,870,873)	(4,141,767)
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	86,720	98,326	(10,469,239)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(19,752,414)	(13,240,219)	(28,602,810)
მოგების გადასახადი	-	-	-
მოგება/(ზარალი)	(19,752,414)	(13,240,219)	(28,602,810)

- 2018 წელი - მიმდინარეობდა პროდუქციის სერტიფიცირება თვითმფრინავების მწარმოებელი კომპანია Boeing-ის მიერ, ამიტომ 2018 წელს ორგანიზაციას ამონაგები არ მიუღია.
- 2019 წელი - კომპანიამ დაიწყო მასიური პროდუქციის წარმოება (და შესაბამისად რეალიზაცია). არასაოპერაციო ხარჯი 2019 წელს წარმოადგენს სპეციალურ სერტიფიცირებას (NADCAP),

რომელიც მოთხოვნილია Boeing-ის მიერ, ასევე იგი კომპანიას საშუალებას აძლევს წარმოებული პროდუქცია თვითმფრინავის მწარმოებელ სხვა მსოფლიოში ცნობილ კომპანიებსაც მიეცოდეს (Airbus, Bombardier).

- 2020 წელი - კომპანიამ შეძლო რეალიზაციის მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც განპირობებული იყო მასიურ წარმოებაზე სრულად გადასვლით და ასევე ახალი პროექტის დაწყებით (D640, Intercostals), ეს წელი კომპანიამ ზარალით დაასრულა რაც მოსალოდნელი იყო რადგან მიუხედავად გაყიდვების ზრდისა, ეს მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ ბიუჯეტს, ასეთი დონის რეალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ხარჯების სრულად დაფარვას. რეალიზაციის ზრდის შეფერხება კი თავის მხრივ გამოწვეული იყო გლობალური პანდემიით (COVID-19), რაც 2020 წლის მეორე კვარტლიდან მყისიერად აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.
- 2021 წელი - პანდემიის გავლენა კომპანიის შემოსავლებზე კიდევ უფრო ნეგატიურად აისახა, რაც გამოწვეული იყო ერთი მხრივ Boeing-ის მიერ თვითმფრინავების წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ 787 Dreamliner-თან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებით (Boeing-მა 2021 წლის მესამე კვარტლიდან ამ მოდელის წარმოება საერთოდ შეაჩერა და მხოლოდ 2022 წლის აგვისტოში განაახლა მომხმარებლებისთვის ამ თვითმფრინავების მიწოდება, ისიც მცირე რაოდენობით, 2 ერთეული თვეში. მაშინ როცა პანდემიამდე პერიოდში თვეში 14 ერთეულის მიწოდება ხდებოდა ავიაკომპანიებისთვის). ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის შემოსავლების 33%-იანი კლება წინა (2020) წელთან შედარებით.

აღსანიშნავია რომ 2021 წელს კომპანიამ დაიწყო ახალი პროექტი, კერძოდ Boeing-ის 737 Max-ის ნაწილების, მეტალის ტექნიკური კარების წარმოებისათვის სერტიფიცირების პროცესი, რომელიც კომპოზიტური მასალებით არ მზადდება (გამოიყენება მეტალი). აღნიშნული პროცესი 2021 წლის ბოლოს დასრულდა, ხოლო პირველი ნაწილების გაყიდვა შედგა 2022 წლის იანვარში. ამ პროექტის დაწყება ხელს შეუწყობს კომპანიის შემოსავლების დივერსიფიკაციას მომავალ წლებში.

რა თქმა უნდა ესეთი შემცირებული რეალიზაცია წლის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს ვერ დაფარავდა, შესაბამისად კომპანიამ წელი ზარალით დაასრულა. თუმცა აღსანიშნავია რომ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის მხრივ მენეჯმენტის გადადგმულმა ნაბიჯებმა უზრუნველყო ხარჯების მაქსიმალური შემცირება.

4. საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

წელი	2021	2020	2019	2018
თანამშრომელთა რაოდენობა წლის ბოლოს	120	167	165	70
Boeing-ის მიერ სერტიფიცირებული ნაწილების რაოდენობა	330	325	240	0

- თანამშრომელთა რაოდენობა.

2020-დან დაწყებული 2021 წლის ჩათვლით: გლობალური პანდემიისგან გამოწვეულმა გაყიდვების შემცირებამ გამოიწვია ხარჯების ოპტიმიზაციის აუცილებლობა, რაც მათ შორის გამოიხატა თანამშრომლების რაოდენობის შემცირებაშიც. გაყიდვების 33%-იანი შემცირების ფონზე (წინა წელთან შედარებით), თანამშრომლების რაოდენობა 28%-ით შემცირდა. კომპანიაში განხორციელდა რესტრუქტურისაციის პროცესი და თანამშრომელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია, რათა მომხდარიყო ზარალის მინიმიზირება.

რესტრუქტურისაციის პროცესში კომპანია შეეცადა მაქსიმალურად მომხდარიყო მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება.

➤ Boeing-ის მიერ სერტიფიცირებული ნაწილების რაოდენობა.

კომპანიის ერთადერთი მომხმარებელი ამ ეტაპზე არის Boeing, შესაბამისად მისი სერტიფიცირების გარეშე წარმოებული პროდუქციის რეალიზება შეუძლებელია.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, კომპანიამ 2021 წელს უზრუნველყო Boeing-ის 737 Max-ის ნაწილების წარმოებისათვის სერტიფიცირება, რომლის ტექნიკური ნაწილიც ამავე წლის ბოლოს დასრულდა, თუმცა ოფიციალური სერთიფიკატი 2022 წლის იანვარში გამოიცა. აღნიშნული მოიცავს 5 სხვადასხვა ნაწილის, ე.წ. ანაკრების (Assembly) ნაწილების წარმოების შესაძლებლობას.

5. გარემოს დაცვის საკითხები

კომპანიის მუშაობა გარემოს დაცვის მიმართულებით დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მიხედვით და გაწერილი აქვს შესაბამისი გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომელშიც ასევე ნაგულისხმევია საერთაშორისო სტანდარტები რაც წარმოჩენილია „ISO 14001“ სერთიფიკატით.

6. განვითარების გეგმები

2020 წელს დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ (COVID-19) მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი კომპანიის განვითარებას და თავდაპირველი გეგმის მიყოლას, რომელიც მნიშვნელოვან ზრდას ითვალისწინებდა. საქმე იმაშია რომ 2019 წელს კომპანიამ უზრუნველყო წარმოებაში ჩასაშვები დეტალების სერტიფიცირება ამერიკული თვითმფრინავების მწარმოებელი კონცერნი Boeing-ის მიერ (ამ პროცესის გარეშე წარმოებული დეტალების გაყიდვა შეუძლებელია), რაც წინაპირობას ქმნიდა, რომ შემდეგი წელს (ანუ 2020-ში) მაღალი რეალიზაცია განეხორციელებინა. აღნიშნული კი კომპანიამ თითქმის ნულოვანი მოგების წერტილზე გაიყვანდა, ხოლო 2021 წელს კომპანია მოგებით დაასრულებდა.

სამწუხაროდ, პანდემიამ საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა ავია-ინდუსტრიას და ავია-გადაზიდვებს, რამაც გამოიწვია ავიაკომპანიების მიერ ფრენების შემცირება, რაც თავის მხრივ გახდა მათი მხრიდან ახალი თვითმფრინავების შესყიდვების შეჩერების (გადადების) ფაქტორი. ამან კი გავლენა იქონია

თვითმფრინავის მწარმოებელი კომპანიების (მათ შორის Boeing ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა ამ სექტორში) მიერ შეკვეთების შემცირება თვითმფრინავის ნაწილებზე.

მიუხედავად ამ ნეგატიური გლობალური მოვლენებისა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-მა შეძლო ბიზნესის უწყვეტობის ციკლის უზრუნველყოფა და არც ერთი დღით არ შეუჩერებია თავისი საქმიანობა. კომპანიამ განახორციელა ადაპტაცია არსებულ სიტუაციასთან და ხარჯების ნაწილის შემცირება, რათა შეენარჩუნებინა ქმედითობა.

რაც შეეხება მომავალი განვითარების გეგმებს:

- ❖ პირველ რიგში იმ რთულ სიტუაციაში რომელიც შეიქმნა პანდემიის გამო აღსანიშნავია კომპანიის დამფუძნებლების მხარდაჭერა, რომლებიც უშუალოდ საქმის კურსში არიან მიმდინარე პროცესებში და ფინანსურად მხარში უდგანან მას. გასათვალისწინებელია რომ Elbit Systems (რომლის შვილობილი კომპანიაა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის უშუალო დამფუძნებელია) ერთ-ერთ უმსხვილეს ებრაულ კონცერნს წარმოადგენს, რომელსაც მრავალპროფილური საქმიანობა და დივერსიფიცირებული შემოსავლები აქვს, შესაბამისად მასზე ნაკლებად ახდენს გავლენას გლობალური პანდემიით გამოწვეული მოვლენები. აღსანიშნავია რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით კომპანიას არ შეეძინა რაიმე ისეთი სახის დაბრკოლება რომელიც მის საქმიანობას შეაფერხებდა და ბიზნეს უწყვეტობის ციკლი არც 2020 და არც 2021 წელს არ დარღვეულა.
- ❖ რაც შეეხება ავია-გადაზიდვების ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს - აღსანიშნავია ის პოზიტიური ძვრები რომელიც შეინიშნება 2022 წელს. კერძოდ გაზრდილი მოთხოვნა მგზავრთა გადაყვანაზე. მიუხედავად ავია ბილეთების ფასის მკვეთრი ზრდისა (რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საწვავის ფასის გაძვირებით), მოთხოვნა ავია გადაზიდვებზე მაინც არ შემცირებულა. აღნიშნული იწვევს მოთხოვნას პანდემიის განმავლობაში შენელებული თვითმფრინავების წარმოების მოცულობის ზრდაზე. აქვე აღსანიშნავია რომ Boeing-მა ფაქტიურად გადაჭრა ის ტექნიკური პრობლემები რომელიც 2020 - 2021 წლის სხვადასხვა პერიოდებში ჰქონდა Boeing 787 Dreamliner-თან და 737 Max-თან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ იმის მომასწავლებელია რომ ამ ტიპის თვითმფრინავების წარმოება მომდევნო წლებში გაიზრდება.
- ❖ კომპანიის მომავლის პროგნოზი ეფუძნება თვითმფრინავმშენებლობაში საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებებს. კერძოდ 2022 წელს კომპანია შემცირებული გაყიდვებით წარმართავს (წინა წლებთან შედარებით), რაც მოსალოდნელი იყო. 2023 წელი ნორმალური იქნება როგორც ბაზრისთვის, ისე კომპანიისთვის. ხოლო 2024 წლიდან მოსალოდნელია გაყიდვების ზრდა. 2026-2028 წლებში კი გაყიდვები პიკს მიაღწევს და დაუბრუნდება პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს.
აღნიშნული განაპირობებს სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-ს განვითარების სტრატეგიასაც, რაც გულისხმობს 2023 წელს ხარჯების ოპტიმიზაციის გაგრძელებას, ხოლო 2024 წლიდან ზრდისთვის მომზადებას.

კომპანიის სამომავლო გეგმებში არის ახალი პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებს, როგორც კომპოზიტის ნაწილების წარმოების გაფართოებას, ასევე მეტალისა და საამწყოზო მიმართულებების გაზრდას. 2022 წლის განმავლობაში დაგეგმილია Boeing 787 Dreamliner-ის წინა შასის 4 ტიპის კარის წარმოების კვალიფიცირების დასრულება, რომელიც

2021 წლიდან მიმდინარეობს, გარდა ამისა 2022 წლიდან მიმდინარეობს Boeing 767-ის ტექნიკური კარის წარმოების კვალიფიცირების პროცესიც, რომელიც 2023 წლის დასაწყისიდან მოუტანს შემოსავლებს კომპანიას.

7. წარმოებული კვლევები

კომპანია ამ ეტაპისთვის არ საჭიროებდა და არ უწარმოებია მნიშვნელოვანი კვლევები, რადგან ჰყავს გარანტირებული მყიდველი მსოფლიოში აღიარებული კორპორაცია Boeing-ის სახით. აღნიშნული კვლევებით და ახალი მომხმარებლების მოძიებით დაკავებულია კომპანიის აქციონერი Elbit Systems - cyclone LTD, რასაც პერიოდულად უზიარებს შვილობილ კომპანიას.

8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

კომპანიას შემუშავებული და დანერგილი აქვს ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე რისკების მართვის მექანიზმები, კონკრეტულად:

- საკრედიტო რისკი - 2019 წელს განხორციელდა სესხის აღება ადგილობრივი ბანკისგან, რითაც სრულად გადაწყდა კომპანიის საკრედიტო რესურსების საჭიროების საკითხი. ამავე დროს განხორციელდა საბანკო გარანტიების ხაზის გახსნა, რაც კომპანიის მიერ გამოიყენება ძირითადი ნედლეულის დროებითი გადამუშავების რეჟიმით შემოსატანად (საბაჟოზე წარსადგენად).
2020 წელს კომპანიამ ნაწილობრივ უზრუნველყო ადგილობრივი ბანკისგან აღებული სესხის მომსახურება (საუბარია სესხის დასაფარი ძირის ნაწილზე, დარიცხული საპროცენტო სარგებელი სრულად იქნა გადახდილი), რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო გლობალური პანდემიის შედეგად რეალიზაციის შემცირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდა მოლაპარაკება ბანკთან და 2021 წლის დასაწყისში განხორციელდა სესხის რესტრუქტურირება, რომლის მიხედვითაც კომპანიას დაუწესდა განახლებული გადახდის გრაფიკი. აღსანიშნავია რომ 2021 წელს კომპანიამ სრულად შეასრულა ბანკის წინაშე ახალი გრაფიკით აღებული ვალდებულება.
- საბაზრო რისკი - კომპანიის პროდუქციას სრულად უკვეთავს და ყიდულობს Boeing. ამდენად, აღნიშნული რისკი პროგნოზირებადია და დამოკიდებულია მხოლოდ Boeing-ისგან მიღებულ შეკვეთებზე.
- ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკი - კომპანიაში დანერგილია ლიკვიდობის მართვის ყოველკვირეული პრაქტიკა, რაშიც ჩართულია უმაღლესი მენეჯმენტი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, აქციონერი კომპანიისგან (Elbit Systems - cyclone LTD) შეგვიძლია მოვიპოვოთ შესაბამისი ფინანსური რესურსები. ამდენად, მენეჯმენტის შეფასებით, ეს რისკი სრულად მართვადია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

კომპანიაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ფინანსური დეპარტამენტი დაყოფილია ორ ცალკე სტრუქტურულ ერთეულად, რომელთაგან ერთის ფუნქცია არის ბუღალტრული აღრიცხვის უზრუნველყოფა, ხოლო მეორის ფინანსური ანგარიშგება. კომპანიაში შემუშავებული პროცედურის თანახმად მეორე ერთეული ახდენს პირველი ერთეულის მიერ წარმოებული აღრიცხვის სისწორის შემოწმებას. ხოლო ფინანსური ანგარიშგებების განხილვა და დადასტურება ხდება ფინანსური დირექტორის მიერ.

ამდენად კომპანიაში დაცულია ე.წ. „ოთხი თვალის“ პრინციპი, რაც განაპირობებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებების მომზადების სისწორეს.

აუდიტორების პროფესიული გასამრჯელო 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის შეადგენს 20,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს (დღგ-ს გარეშე).

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა შეადგენს სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიციური ნაწილების დამზადებას, თუმცა ვინაიდან საქართველოს ბაზარზე არ არსებობს სამოქალაქო თვითმფრინავების ან მისი ნაწილების მწარმოებელი არც ერთი საწარმო, კომპანია დამზადებული პროდუქტის 100%-ს ექსპორტის გზით ყიდის საზღვარგარეთ. ამჟამად კომპანია ამზადებს ნაწილებს Boeing 787 Dreamliner-სა და 737 Max-სთვის (2022 წლიდან), შესაბამისად, აქედან გამომდინარე კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ-ფაქტორები:

9.1 რთული გლობალური ეკონომიკური პირობები, რაც ძირითადად გამოწვეული პანდემიით (COVID-19)

2020 წლის COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია კომპანია Boeing მიერ წარმოების შემცირება, მათ შორის 787 Dreamliner-ის საწარმოს დახურვა სამხრეთ კაროლინაში რამდენიმე კვირით. აღნიშნულმა გამოიწვია კომპანიის შეკვეთების შემცირება. ასევე Boeing-ს 2021-2022 წლებში ტექნიკური პრობლემა ქონდა კონკრეტულად ამ მოდელის თვითმფრინავის წარმოებაში, რის გამოც ეს პროცესი საკამოდ შეფერხდა და ბაზარზე ახალ შეკვეთებს კომპანია არ ანთავსებდა.

პანდემიის ახალი ტალღის წარმოქმნის შემთხვევაში ავია-გადაზიდვების სერვისი ბაზრის შემცირებას გააგრძელებს, რაც ავტომატურად ნიშნავს თვითმფრინავის ნაწილებზე (დეტალებზე) მოთხოვნის შემცირებას. აღნიშნული კი კორექტირებებს შეიტანს კომპანიის საქმიანობაში. მსგავსი სცენარის განვითარების შემთხვევაში, კომპანია სრულად ვერ შეასრულებს იმ კონკრეტულ წელს დაგეგმილ ფინანსურ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

9.2 ადგილობრივი სავალუტო ბაზრის არასტაბილურობა

კომპანია ნედლეულს ყიდულობს და საბოლოო პროდუქტს ყიდის საზღვარგარეთ, შესაბამისად ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადად ამერიკულ დოლარში ან/და ევროში. შესაბამისად საქართველოში ლარის გაუფასურება/გამყარება იწვევს კომპანიის საოპერაციო/ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას/გაზრდას, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

10. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, აქციონერთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

10.1 თანასწორობა

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა აქციონერის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად, თანასწორობის პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვადასხვა რაოდენობის აქციების მფლობელ აქციონერთა გათანაბრებას.

10.2 კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა

აქციონერებისათვის უზრუნველყოფილი არის შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა შეხვედრებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.

10.3 კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშვალდებულება, კონტროლი და გაწონასწორება

ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მართვა განხორციელდება კომპანიის მმართველი ყველა ორგანოს პასუხისმგებლობის მაღალი დონით, სამეთვალყურეო და აღმასრულებელ ორგანოთა უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნითა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.

10.4 გამჭვირვალობა

უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

10.5 კონტროლი

უზრუნველყოფილია ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობა კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში, აქციონერთა უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვისათვის.

10.6 კომპანიის კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა

კომპანიის მართვის ორგანოების სისტემა მოიცავს შემდეგს:

აქციონერთა საერთო კრება - კომპანიის აქციონერებისაგან შემდგარი მმართველობის უმაღლესი ორგანოა, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

სამეთვალყურეო საბჭო - მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობაზე, მართვასა და აღმასრულებელ ორგანოებზე, კომპანიის წესდებით დადგენილ ფარგლებში და მის საფუძველზე.

დირექტორთა საბჭო - დირექტორთა საბჭო შედგება აღმასრულებელი დირექტორისა (შემდგომში „აღმასრულებელი დირექტორი“) და ფინანსური დირექტორისაგან (შემდგომში „ფინანსური დირექტორი“). საზოგადოების წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებამოსილება ენიჭება აღმასრულებელ დირექტორს და მისი წარმომადგენლობითი/მმართველობითი უფლებამოსილება შეზღუდულია საზოგადოების წესდების შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს შესაძლებელია აგრეთვე ჰყავდეს ტექნიკური და სხვა სახის დირექტორები.

აქციონერების საერთო კრება - აქციონერების საერთო კრება მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. საზოგადოების საერთო კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მას ესწრებიან საზოგადოების გამოშვებული კაპიტალის 100%-ის მფლობელი აქციონერები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. აქციონერთა საერთო კრების დეტალური უფლებები, საერთო კრების მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო - სამეთვალყურეო საბჭო არის მართვის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს კომპანიის საქმიანობას, განსაზღვრავს კომპანიის ბიუჯეტს და ზედამხედველობას ახორციელებს დირექტორთა საბჭოზე, ასევე იღებს გადაწყვეტილებას მათ დანიშვნაზე/განთავისუფლებაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სათანადო კვალიფიკაციის მქონე 6 (ექვსი) წევრისგან და თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და ვიცე თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებები იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართზე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) წევრი, იმის გათვალისწინებით, რომ კრებას ესწრება თითოეული აქციონერის მიერ არჩეული სულ მცირე ერთი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს დეტალური უფლებები/ვალდებულებები, სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ ჩვენი კომპანიის მიერ არ გამოიყენება დივერსიფიცირებული (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) პოლიტიკა.



მიხეილ ბეგიაშვილი
ფინანსური დირექტორი

აქციონერების საერთო კრება - აქციონერების საერთო კრება მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. საზოგადოების საერთო კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მას ესწრებიან საზოგადოების გამოშვებული კაპიტალის 100%-ის მფლობელი აქციონერები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. აქციონერთა საერთო კრების დეტალური უფლებები, საერთო კრების მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო - სამეთვალყურეო საბჭო არის მართვის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს კომპანიის საქმიანობას, განსაზღვრავს კომპანიის ბიუჯეტს და ზედამხედველობას ახორციელებს დირექტორთა საბჭოზე, ასევე იღებს გადაწყვეტილებას მათ დანიშვნაზე/განთავისუფლებაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სათანადო კვალიფიკაციის მქონე 6 (ექვსი) წევრისგან და თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და ვიცე თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებები იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართზე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) წევრი, იმის გათვალისწინებით, რომ კრებას ესწრება თითოეული აქციონერის მიერ არჩეული სულ მცირე ერთი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს დეტალური უფლებები/ვალდებულებები, სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ ჩვენი კომპანიის მიერ არ გამოიყენება დივერსიფიცირებული (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) პოლიტიკა.

მიხეილ ბეგიაშვილი
ფინანსური დირექტორი